ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2015 წლის 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით კომისიამ ჩაატარა 2 სხდომა კომისიის სხდომების დროს განხილული იქნა სამი საკითხი:

1. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღდგენითი ბუნებრივი რესურსების მართვის შესახებ.

2. ინფორმაცია პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აგროსამრეწველო სექტორში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა განხილვის შესახებ.

მოისმინეს რა ინფორმაცია აღდგენითი ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებით, კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ აღდგენით ბუნებრივი რესურსების სარგებლობის დროს ხშირად ადგილი აქვს გზების დანაგვიანება, დაზიანებას, რასაც შესაბამისმა სამსახურებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ამავე დროს შესაბამისმა სამსახურებმა უნდა შეისწავლონ თუ რამდენად სამართლიანად ხდება აღდგენითი ბუნებრივი რესურსების მოპოვება.

რაც შეეხება პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობას, სხდომაზე აღინიშნა, რომ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ნებისმიერი უძრავი ქონების პრივატიზაცია ხდება აუქციონის წესით და ნებისმიერ მოაქლაქეს შუძლია აუქციონში მონაწილეობის მიღება, ამავე დროს აღინიშნა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდინ მოსახლეობას აღნიშნულთან დაკავშირებით.

მესამე საკითხის ირგვლივ მომხსენელბელმა დეტალურად მიმოიხილა ოზურეგთის მუნიციპალიტეტის აგროსამრეწველო სექტორში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და მათი განვითარების ეკონომიკურ და სოცილაურ მნიშვნელობაზე.

კომისიაზე ხაზი გაესვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების აუცილებლობას.

აღინიშნა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მეტი, მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს თუ სად, რომელ ნიადაგზე რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ერთწლიანი თუ მრავალწლიანი გაშენება და მოყვანა იქნება რენტაბელური და მომგებიანი.

კომისიის თავმჯდომარე: **შოთა ართმელაძე**